



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011792957134920

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

343788

24 / სექტემბერი / 2020 წ.

მოსაწვევი

(ზეპირი მოსმენა)

სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება ოლეგ სიტკოს (პირადი ნომერი 01791005256) წარმომადგენლის მონიკა რუხაძის (პირადი ნომერი 42001021045) № 351947/17 (15.09.2020) ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით.

ადმინისტრაციული საჩივრით გასაჩივრებულია საჯარო რეესტრის ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის (შემდგომში - „ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური“) სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ № 882020417583-03 (17.07.2020) გადაწყვეტილება, სარეგისტრაციო წარმოების განუახლებლობის შესახებ № 882020417583-05 (03.08.2020) შეტყობინება, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ № 882020417583-07 (17.08.2020) გადაწყვეტილება.

№ 351947/17 (15.09.2020) ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის მიზნით, ზეპირი მოსმენის სხდომა ჩატარდება **2020 წლის 5 ოქტომბერს 12:00 საათზე**.


ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნენ: ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური, ოლეგ სიტკოს (პირადი ნომერი 01791005256) წარმომადგენელი მონიკა რუხაძე (პირადი ნომერი 42001021045) და ჯუღუტა არსენიან (პირადი ნომერი 01034001616).

ზეპირი მოსმენის სხდომა ჩატარდება დისტანციურად, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით. ვთხოვთ, ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულმა პირებმა თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი) მიაწოდოთ საჯარო რეესტრს, შემდეგ ელ. ფოსტის მისამართზე: info@narp.gov.ge. შესაბამისი ინფორმაციის გამოგზავნის შემთხვევაში, თქვენ დაგიკავშირდებათ საჯარო რეესტრის თანამშრომელი და მოგაწვდით დეტალურ ინფორმაციას/ინსტრუქციას ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად.

დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: სანაპიროს ქ. № 2) და და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა.

წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

დავით დევციძე